დამტკიცებულია:	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N02-2020 დადგენილება	16.01.2020
შეტანილია ცვლილება:*	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N01-2024 დადგენილება	10.01.2024
	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N07 დადგენილება	07.05.2026

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

მუხლი 1. საბაკალავრო ნაშრომის მიზანი

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესასრულებელ ნაშრომს საბაკალავრო პროგრამის ბოლო სემესტრში, რომლის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების სისტემატიზაცია და გამოვლენა.

მუხლი 2. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის რეგისტრაცია

1. დამამთავრებელი სასწავლო სემესტრის დაწყებისთანავე საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის ჩამონათვალს ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი.
2. სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, დაშვების წინაპირობებს არსებობისას, წარმოებს არაუგვიანეს სწავლების ბოლო სემესტრის პირველი სასწავლო კვირისა.
3. საბაკალავრო ნაშრომის თემის სათაურისა და თემის ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. დეკანის მიერ საბაკალავრო ნაშრომის თემის დამტკიცების შემდეგ სტუდენტი ხელმძღვანელთან ერთად იწყებს ნაშრომზე მუშაობას.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი) ან მოწვეული ლექტორი, რომელსაც აქვს სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
2. ერთი სემესტრის მანძილზე ერთი აკადემიურ პერსონალი/მოწვეული ლექტორი ხელმძღვანელობს არაუმეტეს 5 საბაკალავრო ნაშრომს.
3. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაზე უნდა დაიხარჯოს მინიმუმ 125 საათი (5 კრედიტი).
4. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის გეგმის შედგენაში, ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ყოველკვირეულად ზედამხედველობს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესს და ახდენს საბაკალავრო ნაშრომის შეუალედურ შეფასებას სასწავლო პროცესის მე-12 კვირაში, შუალედური შეფასებისათვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა

1. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დასრულებულ, სრულყოფილად გაფორმებულ, აკინძულ და ყდაში ჩასმულ ერთ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში) წარუდგენს ფაკულტეტს სასწავლო სემესტრის დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს მე-14 სასწავლო კვირის დასრულებისა.
2. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განსაზღვრულია წინამდებარე წესის №1 დანართით.
3. საბაკალავრო ნაშრომი ფაკულტეტის მიერ იგზავნება პლაგიატზე შესამოწმებლად საუნივერსიტეო რეგულაციის შესაბამისად, რის შემდეგაც გადაეცემა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პლაგიატზე შემოწმების შედეგებით.
4. პლაგიატი არის ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე). პლაგიატი (plagiatus ლათ.) ნიშნავს მიტაცებულს. მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებსით თუ უნებლიედ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით. ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები და ა.შ. პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული ან უყურადღებობით დაშვებული. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევა საბაკალავრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების საფუძვლია.
5. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ეცნობა ნაშრომის საბოლოო ვერსიას, წერს დასკვნას და გადასცემს ფაკულტეტის დეკანს. დასკვნაში სავალდებულო წესით უნდა აისახოს ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები, ნაშრომის ავტორის მიერ გამოვლენილი ცოდნისა და უნარების ხარისხი, პლაგიატზე შემოწმების შედეგების ანალიზი და პირადი აზრი სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.
6. საბაკალავრო კვლევით ნაშრომთან ერთად სტუდენტმა ფაკულტეტს უნდა წარუდგინოს:

ა. განცხადება ფაკულტეტის დეკანის სახელზე საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე/დასკვნით გამოცდაზე დაშვების შესახებ;

ბ. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შუალედური შეფასება და საბოლოო დასკვნა.

7. საბალალავრო ნაშრომს თან უნდა დაერთოს სტუდენტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

მუხლი 5. დასკვნითი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღის და საგამოცდო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

1. დასკვნითი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის დეკანი, არაუგვიანეს სასწავლო სემესტრის მე-15 სასწავლო კვირის დასრულებისა. საბაკალავრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი დასკვნითი გამოცდაზე/საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება.
2. დასკვნითი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვა შეიძლება დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის თარიღზე გადაწყვეტილების მიღებიდან მინიმუმ 7 კალენდარული დღის შემდეგ.
3. დასკვნითი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 5 წევრისაგან, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

4. დასკვნითი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პროგრამაში ჩართული სხვა სხვა პირი ან მოწვეული სპეციალისტი.
5. დასკვნითი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული, ფაკულტეტის დეკანის მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

მუხლი 6. დასკვნითი ზეპირი გამოცდა/საბაკალავრო ნაშრომის დაცვა

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა წარმოებს დასკვნით ზეპირ გამოცდაზე საჯაროდ. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა წარმოებს ქართულ ენაზე.
2. დასკვნითი ზეპირი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი მაინც.
3. დასკვნითი ზეპირი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისიის შემადგენლობას, ყოველ ცალკეულ სტუდენტზე ემატება, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, სათათბირო ხმის უფლებით.
4. თუ სტუდენტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დასკვნით ზეპირ გამოცდაზე/საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე, ან საგამოცდო კომისიის ქვორუმი არ შედგა, ან დასკვნითი ზეპირი გამოცდა/საბაკალავრო ნაშრომის დაცვა არ შედგა სტუდენტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, ფაკულტეტის დეკანის მიერ იმავე სემესტრში აინიშნება დამატებითი დასკვნითი ზეპირი გამოცდა/საბაკალავრო ნაშრომის დაცვა.
5. დასკვნით ზეპირ გამოცდაზე/საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე საგამოცდო კომისიის წევრები/გამომცდელები დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში. ამასთან, დაცვის პროცედურა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.
6. დასკვნით ზეპირ გამოცდაზე/საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე თითოეული სტუდენტი გამოიცდება ინდივიდუალურად.
7. საგამოცდო კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე აცხადებს სტუდენტის ვინაობას, საბაკალავრო ნაშრომის თემას და ხელმძღვანელს.
8. დასკვნითი ზეპირი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის პროცესი ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციას (10-15 წუთი), კითხვა-პასუხს (10-15 წუთი), საბაკალავრო ნაშრომის ავტორის დასკვნით სიტყვას (5 წუთი) და საბაკალავრო ნაშრომის ხელ-ლის დასკვანის წარმოდგენას (5 წუთი).
9. სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს სტუდენტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. სტუდენტის მოხსენება მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. სტუდენტი საგამოცდო კომისიას მოახსენებს საბაკალავრო ნაშრომის მიზნებს, ამოცანებს, საბაკალავრო ნაშრომის ძირითად დებულებებს, შესრულებული სამუშაოს ანალიზს, ასევე კონკრეტულად ჩამოყალიბებულ საკუთარ დასკვნებს.
10. საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციისას სტუდენტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
11. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტი პასუხობს საგამოცდო კომისიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს.
12. საბაკალავრო ნაშრომის შესაფასებლად საგამოცდო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე. საგამოცდო კომისიის დახურული სხდომის დამთავრების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე საჯაროდ აცხადებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას.

მუხლი 7. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის შეფასება

1.საბაკალავრო ნაშრომიფასდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ

შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (40 ქულა). (უწყისი დანართი N4)
2. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასებისას ფასდება:
ა. შინაარსობრივი მხარე;
ბ. ფორმალური მხარე.

3. საბაკალავრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარე ფასდება 50 ქულით, ხოლო ფორმალური მხარე - 10 ქულით.

4. საბაკალავრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასების კრიტერიუმებია:
ა. საკითხის აქტუალობის განსაზღვრის, პრობლემის გამოკვეთის და თანამიმდევრული მსჯელობის უნარი – 0-10 ქულა;
ბ. შესაბამისი თეორიების, წყაროების, მასალების სისტემატიზაციის, ანალიზისა და წარმოჩენის უნარი – 0-10 ქულა;
გ. საკუთარი იდეების, პოზიციების, შერჩეული მიდგომების, მიღებული დასკვნების წარმოჩენის უნარი – 0-10 ქულა;
დ. საკითხის კვლევისას მრავალფეროვანი და ვალიდური წყაროების გამოყენების უნარი – 0-10 ქულა;
ე. პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი - 0-10 ქულა.
5. საბაკალავრო ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასების კრიტერიუმებია:
ა. ნაშრომის დადგენილი სტილისტური და გრამატიკული გამართულობის, სტანდარტების შესაბამისად გაფორმების უნარი - 0-5 ქულა.
ბ. ინფორმაციის ეთიკურად გამოყენების (ციტირების ტექნიკა, სქოლიო) უნარი - 0-5 ქულა.
6. დასკვნითი შეფასების კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომის დაცვა/დასკვნითი ზეპირი გამოცდა. დასკვნით ზეპირ გამოცდაზე/საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებით დააგროვილი აქვს შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ანუ 21 ქულა. ამასთან, დასკვნითი ზეპირი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 20 ქულას.
7. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის/დასკვნითი ზეპირი გამოცდის დროს ფასდება:
ა. საბაკალავრო ნაშრომის ვერბალური მხარე;
ბ. საბაკალავრო ნაშრომის ფორმალური მხარე.
8. საბაკალავრო ნაშრომის ვერბალური მხარე ფასდება 30 ქულით, ხოლო ფორმალური მხარე - 10 ქულით.
9. საბაკალავრო ნაშრომის ვერბალური მხარის შეფასების კრიტერიუმები:
ა. საბაკალავრო ნაშრომის შინაარსის ნათლად, გამართულად და არგუმენტირებულად გადმოცემის უნარი - 0-10 ქულა;
ბ. პრობლემის იდენტიფიცირების, ანალიზისა და წარმოჩენის უნარი - 0-5 ქულა;
გ. კვლვის შედეგების შედეგად მიღებული დასკვნების დასაბუთების უნარი - 0-5 ქულა;
დ. ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით დისკუსიაში მონაწილეობისა და საკუთარი პოზიციების დაცვის უნარი - 0-10 ქულა.
10. საბაკალავრო ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასების კრიტერიუმები:
ა. საპრზენტაციო მასალების ვიზუალური მხარის გაფორმებისა და საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციისას შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უნარი - 0-5 ქულა;
ბ. რეგლამენტის დაცვის უნარი - 0-5 ქულა.
11. დასკვნითი ზეპირი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
12. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება განისაზღვრება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შუალედური და საგამოცდო კომისიის წევრთა დასკვნითი შეფასების ჯამით. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში: საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს პროგრამით

გათვალისწინებული კრედიტი მიენიჭება, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამებით, იგი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

მუხლი 8. შეფასების სისტემა

1. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა. (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ. (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ. (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71- 80 ქულა;

დ. (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე. (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს კომპონენტის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე/დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ამასთან, დამატებითი გამოცდა შეიძლება დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

ბ. (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საბაკალავრო ნაშრომი ახლიდან აქვს შესასრულებელი.

3. საბაკალავრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების საფუძვლებია ასევე:

ა.დასკვნითი გამოცდაზე/საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

ბ. დასკვნითი გამოცდაზე/საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე გამოცხადების შემდგომ მის დაცვაზე და პრეზენტაციაზე უარის თქმა;

გ. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა;

დ. დასკვნითი გამოცდის/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ჩაშლის მცდელობა ან მისი ჩატარების განაწესის დარღვევა;

ე. შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით ან სხვა დაუშვებელი ხერხებით.

მუხლი 9. აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის დეტექცია

1. თჰუ-ს სტუდენტები ვალდებულნი არიან დაიცვან უნივერსიტეტის მიერ აღიარებული აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები, რომლებიც გაწერილია უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესში;

2. ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში მასალის ტექნიკურ ატვირთვას და გადამოწმებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ფაკულტეტის მოთხოვნის საფუძველზე.

3. ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით მიღებული შედეგები ეცნობება სტუდენტს და ფაკულტეტს (მათ შორის ნაშრომის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს).

4. ნაშრომის ხელმძღვანელი განიხილავს პლაგიატის დეტექტირების შედეგებს და წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას ნაშრომის დაცვისათვის დაშვება/არ დაშვების შესახებ, საკუთარ დასკვნაში.

5. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს ეგზავნება ნაშრომი და შესაბამისი შედეგები და ეძლევა გონივრული ვადა (არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა) მის გამოსასწორებლად, საბაკალავრო ნაშრომის ხელ-ლის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში თუ გამოსწორება შესაძლებელია.

6. სტუდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ გაასწოროს ნაშრომი პლაგიატის დეტექტირების შედეგებზე დაყრდნობით. ხელმეორედ პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომი არ ფასდება.

მუხლი 10. დათქმა

1. წინამდებარე ინსტრუქცია არის საერთო თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამისათვის, თუ ცალკეული პროგრამა არ ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნებს.

დანართი 1.

საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

1. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 30 და არაუმეტეს 35 გვერდისა. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.
2. საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297 ⨯210მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე.
3. საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ.

საბაკალავრო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen-ის შრიფტით, ზომით თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებულ ხარისხით.

5. საბაკალავრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, მათ შორის სატიტულო გვერდი, არ ინომრება. საბაკალავრო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ–ით.
6. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.
7. საბაკალავრო ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
8. საბაკალავრო ნაშრომში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი საბაკალავრო ნაშრომის ბოლოს.
9. საბაკალავრო კვლევით ნაშრომში სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა –

10 პუნქტი. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.

10. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია: ა. თავფურცელი (ტიტულის გვერდი);

ბ. ხელმოწერის გვერდი; გ. სარჩევი (შინაარსი); დ. რეზიუმე; ე.

შესავალი; ვ. ძირითადი ტექსტი;

ვ. დასკვნა.

ვ. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

11. საბაკალავრო ნაშრომის თავფურცელი (ტიტულის გვერდი) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების, ფაკულტეტისა და

პროგრამის დასახელებას („თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“, „ფაკულტეტი“, „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა“), სტუდენტის სახელსა და გვარს, საბაკალავრო ნაშრომის დასახელებას, ასევე შემდეგი შინაარსის ტექსტს - „ნაშრომი შესრულებულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში“. საბაკალავრო ნაშრომის თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა, სულ ქვემოთ, ფურცლის შუა ნაწილში, იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი (მაგალითად, თბილისი, 2022 წელი). საბაკალავრო ნაშრომის აღნიშნული გვერდი არ ინომრება (იხ. დანართი 2).

12. საბაკალავრო ნაშრომის ხელმოწერის გვერდი უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“, „ფაკულტეტი“, „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა“, „ვადასტურებ, რომ გავეცანი [სახელი, გვარი] მიერ შესრულებულ საბაკალავრო კვლევით ნაშრომს დასახელებით: [დასახელება], განვახორციელე ნაშრომის შუალედური შეფასება, შუალედური შეფასებისათვის გათვალისწინებული შეფასების კრიტერუმების გათვალისწინებით და ვიძლევი რეკომენდაციას საბაკალავრო ნაშრომი წარედგინოს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის დაცვის/დასკვნითი გამოცდის კომისიას, დასკვნითი და საბოლოო შეფასებისათვის, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერით. ნაშრომის აღნიშნული გვერდი ასევე არ ინომრება (იხ. დანართი 2). საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს (შინაარს). საბაკალავრო ნაშრომი სარჩევში მოცემული უნდა იყოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება თანმიმდევრულად. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ხელმოწერის გვერდის, რეზიუმეს და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით. სარჩევის (შინაარსის) ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „–“, „_“.

14. საბაკალავრო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს მის მოკლე მიმოხილვას. რეზიუმე იწერება ქართულად და ინგლისურად. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი შედეგები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100-150 სიტყვას. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად.

15. საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის შესავალ ნაწილში აისახება თემის აქტუალობა და მნიშვნელობა, ნაშრომის მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი, გამოყენებული მეთოდ/ებ/ი, მიდგომები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები (ასეთის არსებობის შენთხვევაში).

16. საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. ტექსტში უნდა ჩანდეს საკვლევ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის ეტაპები და შედეგები. საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი სტრუქტურა დამოკიდებულია საბაკალავრო ნაშრომის თემატიკაზე და სტუდენტს უფლებააქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

17. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნა საბაკალვრო ნაშრომის შედეგების ამსახველი ნაწილია. საბაკალავრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ ძირითად დასკვნებს,

მიგნებებს ან/და რეკომენდაციებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოკლედ და ლაკონურად.

18. საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი სტილი:

ა. სტატია: გვარი ინიციალი. სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწისი დასასრული (მაგ.: 1. მაჭავარიანი ს., უწყებრივი

ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ჟ. მართლმსაჯულება, 2017, 2, გვ. 186-213.).

ბ. წიგნი:

ბ.ა. ცალკეული გვერდების მითითებისას: გვარი ინიციალი. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ. დასაწისი–დასასრული (მაგ.: 1. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი: მერანი - 3, 2000, გვ. 68-86.).

ბ.ბ. მთლიანი წიგნის მითითებისას: გვარი ინიციალი. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვერდების რაოდენობა გვ. (მაგ.: 1. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი: მერანი - 3, 2000, გვ. 379). ბ.გ. ინფორმაციის გლობალური ქსელი: ვებ–გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

19. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილ უნდა იქნას ანბანური თანმიმდევრობით. თავდაპირველად უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე. ლიტერატურის ნუსხაში გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად, სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს – 1, აბზაცებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი, ხოლო შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

დანართი 2.

_____ფაკულტეტი

_____საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტუდენტის სახელი, გვარი

საბაკალავრო ნაშრომის დასახელება

ნაშრომი შესრულებულია _____საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

ხელმძღვანელი: სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა

თბილისი, 20

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი _____მიერ შესრულებულ საბაკალავრო ნაშრომს დასახელებით: _____, განვახორციელე ნაშრომის შუალედური შეფასება, შუალედური შეფასებისათვის გათვალისწინებული შეფასების კრიტერუმების გათვალისწინებით და ვიძლევი რეკომენდაციას საბაკალავრო ნაშრომი წარედგინოს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის_____ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის დაცვის/დასკვნითი გამოცდის კომისიას, დასკვნითი და საბოლოო შეფასებისათვის.

__ _____20 წელი

ხელმძღვანელი: _____/ /

[ხელმოწერა] [სახელი, გვარი]

სასარგებლო რჩევები წარმატებული საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისათვის

სტუდენტები, ვინც წელს ამთავრებთ საბაკალავრო პროგრამას და საბაკალავრო ნაშრომების წერა გიწევთ, ალბათ, დაგვეთახმებით, რომ იგი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. გთავაზობთ რამდენიმე სასარგებლო რჩევას, რომელიც დაგეხმარებათ წარმატებული კვლევისა და ნაშრომის მომზადებაში.

თემის შერჩევა.
აჯობებს, საბაკალავრო კვლევითი ნაშრომისათვის ისეთი თემა შეარჩიოთ, რომლითაც განსაკუთრებულად ხართ დაინტერესებული. ამასთან, თემის არჩევის შემდეგ აუცილებელია ტემპის შენარჩუნება, რაც ზოგისთვის შეიძლება რთული აღმოჩნდეს.

კვლევის იდეისა და თემის შთაგონება მრავალ ადგილზე შეიძლება მოგივიდეთ: ლექციაზე, კონფერენციაზე, სემინარზე, აკადემიური ლიტერატურის კითხვისას. იდეა შესაძლოა, რადიო გადაცემამ, გაზეთის კითხვამ, ონლაინ გამოცემებმა ან სოციალურმა ქსელებმაც კი მოგაწოდონ.

აუცილებელია კავშირი უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალთან, ვინც დაინტერესებულია და ჩართულია იმ საკითხებში, რომელიც თქვენი ინტერესის სფეროა.
კარგად დაფიქრდით, სანამ ვინმესთან თანამშრომლობას დათანხმდებოდეთ კვლევის დროს. კარგი კოლეგები თქვენს ნაშრომს ბევრ დადებითს შემატებენ, ცუდები კი მხოლოდ გაგირთულებენ ცხოვრებას და შედეგით კმაყოფილი არ იქნებით.

საუკეთესო ვარიანტია, ისეთი თემის შერჩევა, რომლის ღრმად შესწავლა ნამდვილად გაინტერესებთ, გინდათ მოცემული ფენომენის შესახებ მეტის გაგება. საკუთარი თავისთვის მისი ახსნის შემდეგ, სხვებისთვის ახსნასაც კარგად შეძლებთ.

შეადგინეთ კვლევის გრაფიკი
იყავით ორგანიზებული – დროის დაგეგმვა უმნიშვნელოვანესია, როცა ძალიან ბევრი საქმე გაქვთ. შექმენით დაგეგმილი აქტივობების სია, ე.წ. to do list, თავისი დედლაინებით და ყოველი დავალების შესრულების შემდეგ, წაშალეთ იგი სიიდან. ეს დაგეგმილის მიღწევის სასიამოვნო შეგრძნებას გაგიჩენთ და მომდევნო პუნქტს უფრო დიდი ენთუზიაზმით შეუდგებით.

სასარგებლოა გეგმის სტრატეგიული განაწილება დროის სხვადასხვა მონაკვეთებად: საათობრივი, დღის, კვირის ან თვის გეგმა.

სამუშაო პროცესი
აუცილებლად დაიწყეთ ნებისმიერი იდეის, აზრის, შენიშვნების, დროებითი სათაურების ჩანიშვნა, რაც კი აზრად მოგივათ თქვენს თემასთან დაკავშირებით. მათ გაფილტვრას ან დახვეწას ნებისმიერ დროს შეძლებთ.

დაალაგეთ მასალები კომპიუტერის სხვადასხვა ფაილებში. მაგ.: სტატიები დამუშავების პროცესში, დასრულებული სტატიები, საკონფერენციო ესეები, ბლოგ პოსტები, ნაწყვეტები წიგნებიდან და სხვა…

თუ ენთუზიაზმი დაკარგეთ ან წინააღმდეგობას შეეჯახეთ, ცოტახნით შეეშვით კონკრეტული თემას და სხვა საკითხზე იმუშავეთ, მოგვიანებით კი კვლავ დაუბრუნდით მას დასვენებული გონებით.

მნიშვნელოვანია რამდენად კარგი იქნება ნაშრომის შესავალი, რომელმაც მკითხველი უნდა დააინტერესოს, დააინტრიგოს და მოანდომოს მისი სრულად წაკითხვა.

როდესაც ჩათვლით, რომ ნაშრომი დაასრულეთ, გადადეთ იგი მინიმუმ ერთი დღით და დაუბრუნდით მოგვიანებით ახალი თვალით. დიდი ალბათობით, შეამჩნევთ რაიმეს, რისი გაუმჯობესებაც შეიძლება.

იფიქრეთ, როგორ შეიძლება ერთი ნაშრომი მომდევნოს საფუძველი გახდეს. მიეცით თქვენ ნაშრომს სხვა გამოყენება

ნაშრომები მაქსიმალურად მრავალფეროვნად გამოიყენეთ – აქციეთ საკონფერენციო თემად, სტატიად, ბლოგ პოსტად. ან პირიქით, რაც პატარა პოსტით იწყება, შესაძლოა შემდეგ მთელ ნაშრომად განავითაროთ.

აკადემიური „მსაჯულებისგან“ შეფასების მიღება, ზოგჯერ, შეიძლება უსიამოვნო იყოს. მაგრამ, ნუ მისცემთ ნეგატიურ აზრებს თქვენი მოტივაციის დადაბლების საშუალებას სამომავლოდ. გაკრიტიკების შიშმა არ უნდა დაგთრგუნოთ. პირიქით, ეცადეთ კრიტიკა თქვენს სასიკეთოდ, ნაშრომის გასაუმჯობესებლად გამოიყენეთ

დანართი 4.

საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების უწყისი

ფაკულტეტი_____

საბაკალავრო პროგრამა_____

№	სტუდენტის სახელი გვარი	ნაშრომის შეფასების კომპონენტები				
		საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება		საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება		
		შინაარსობრივი მხარე (მაქსიმუმ 50 ქულა);	ფორმალური მხარე (მაქსიმუმ 10 ქულა);	ვერბალური მხარე (მაქსიმუმ 30 ქულა);	ფორმალური მხარე (მაქსიმუმ 10 ქულა)	საბოლოო შეფასება
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						
13						
14						
15						

კომისიის თავმჯდომარე_____

კომისიის წევრები:

1.
2.
3.
4.
5.

თარიღი___ _20_____